შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №34334

2021 წლის 1 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანების 4^4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^4. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაფორმებული პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება, ამ ბრძანების ამოქმედებიდან, შემოსავლების სამსახურის სახელით, უზრუნველყონ აუდიტის დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ოფისმა და მომსახურების დეპარტამენტის საკონსულტაციო სამმართველომ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ლევან კაკავა